**სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში (10.2022 – 03.2023)**

- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, EMIS-ის მიერ 2022 წლის დეკემბერში, ინიცირებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მართვის სისტემის საქმიანობის მხარდამჭერი საკოორდინაციო ჯგუფის ფორმირების პროექტი;
- მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის, „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი - საქართველო I2Q (IBRD)“ ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა, EMIS-სთან მჭიდრო კოორდინაციით, შეიმუშავეს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განახლების ტექნიკური დავალება (ToR). ტენდერის გამოცხადება იგეგმება 2023 წლის მეორე კვარტალში.
- მიმდინარეობს მოქმედი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) ტექნიკური მხარდაჭერა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ამოქმედდა სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების ახალი სისტემა, ხორციელდება მისი დანერგვა და ტექნიკური მხარდაჭერა;
- მიმდინარეობს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUni) შემუშავება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დაწესებულებებისა და პროგრამების მოდულის დამუშავება/პროექტირება. ახალი მოდულის ფორმირების პარალელურად ხორციელდება გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.
- I2Q პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადდა ტენდერი - ზოგადი განათლებისთვის სასწავლო პლატფორმის (LMS) შექმნისთვის. მიმდინარეობს შემოსული განაცხადების გადარჩევა გამარჯვებულის გამოსავლენად.